



## AQUAFIN®-2K/M

Art.-No. 2 04280

2 კომპონენტური, ელასტიური, პოლიმერ-მოდულირებული, ცემენტზე ბაზირებული წყალგამტარი

### მემბრანა

#### აღწერა:

AQUAFIN-2K/M არის ელასტიური 2 კომპონენტური პოლიმერ-მოდულირებული წყალგამტარი მემბრანა, რომელიც იცავს ბეტონს, ქვას, აგურს და ბუნებრივ ქვის სუბსტრატებს წყალშედწევისაგან ბზარების შევსების მეშვეობით.

AQUAFIN-2K/M ახასიათებს ძლიერი შეწებების შესაძლებლობა და ტოვებს ისეთ სწორ ზედაპირს, რომელზეც საჭირო აღარაა დამატებითი შრის დასხმა, თუ რა თქმა უნდა არ კეთდება კაფელი, მეტლახი, საღებავი ან სხვა მსგავსი გარსები.

#### ძირითადი მოხმარება:

წყლისთვის განკუთვნილი შენობების, კანალიზაციის, საყრდენი კედლების, საცურაო აუზების, შადრევნების, აქვარიუმების და ზოოპარკის ავზების, სველი წერტილების, კაფელის და მეტლახის ქვეშ და სახურავების წყლისგან დაცვის და ცივი ნაკერების მქონე ბეტონის შესაკეთებლად სპეციალური ჰიდროსაიზოლაციო ლენტის ASO-Joint-Tapes მეშვეობით

#### საერთო წყალგამტარიანობა:

- ძველი და ახალი შენობების გარედან წყლისგან დასაცავად წვიმის, ნამის, ნესტის და პირდაპირი წყლის წნევის საწინააღმდეგოდ
- ქვით ან აგურით აშენებული შენობების იატაკის წყლისგან დაცვისათვის
- გარედან შემოსული ნესტისგან დასაცავად შენობების შიგნით
- მიწისქვეშა ავტომობილების სადგომის, ავტოფარეხების, კონტეინერების, სამომხმარებლო წყლის ავზების, თხევადი სასუქის კონტეინერების, კანალიზაციის, ნესტიანი ადგილების, ტერასების, აივნების და საცურაო აუზების წყალგამტარობის საგარანტიოდ.
- AQUAFIN-2K/M გამოიყენება ჰიდროსაიზოლაციო ლენტის ASO-Joint-Tape-2000 ნაწარმებთან ერთად

კაფელ-მეტლახის და კრამიტის ქვეშ წყალგამტარიანობისთვის:

- წყლისგან უსაფრთხო და ეკონომიური დაცვა კაფელ-მეტლახის ქვეშ სველ ოთახებში, სადაც მუდმივია წყლის კონტაქტი კედელთან, იატაკთან ან ჭერთან, მაგ. სამზარეულოში, სააბაზანოში, საშხაპესა და აივნებზე.

- საცურაო აუზის წყალგამტარობის საგარანტიოდ

**შენიშვნა:** ადგილებში სადაც მეორე მხრიდან (გარედან) მოსალოდნელია მუდმივი ან ხშირი წყლის წნევა გამოიყენეთ ნაწარმი AQUAFIN-1K

#### უპირატესობები:

- აღადგენს 2.6 მმ-მდე ბზარებს;
- ადვილია გამოსაყენებლად როგორც ფუნჯით ასევე სპრეით, ცილინდრით ან შპატელით
- ორთქლ-გამტარია
- წყალგამძლეობა – უძლებს ხუთი ბარის სპოზიტიური წყლის წნევას
- შიდილება გამოიყენოთ როგორც ბოლო ფენა, ისე კაფელის, მეტლახის ან კრამიტის ქვეშა შრე
- უძლებს ულტრა იისფერი სხივებს, ამინდს და ძლიერ ყინვას
- კარგად ეკვრის ნამიან სუბსტრატებს (ქვედა შრეებს) და გრუნტის გარეშეც
- არ აბინძურებს გარემოს
- უძლებს ბეტონისთვის საზიანო წყალს DIN 4030 სტანდარტის მიხედვით
- DVGW W347 სტანდარტის მიხედვით, შიდილება გამოიყენოთ წყლის შესანახი კონტეინერებისთვის
- სახურავების წყალგამძლეობის გარანტია „ინჟინერების და არქიტექტორების შვეიცარიული საზოგადოებისგან: SIA V 280 no. 11“

#### დამახასიათებელი თვისებები:

ბაზა:	2-კომპ., ცემენტი/ქვიშა და აკრილის პოლიმერული ხსნარი
შერევის შეფარდება:	5:2 ფხვნილი:სითხესთან წონის მიხედვით
შერევის დრო:	2 - 3 წუთი (აურით მინ. 300 - 500 RPM-ით)
სიმკვრივე:	1.6 გ/სმ <sup>3</sup>
გასქელების დრო:	დაახლ. 60 წუთი. +23 °C ზე, 60% RH. დაახლ. 20 წუთ. +35 °C ზე, 65% RH

სუბსტრატის

ტემპერატურა: მინ. +5° C დან +35° C მდე. დაბალი ტემპერატურა უმატებს, ხოლო მაღალი კი აკლებს გამაგრების დროს

ინტერვალი შრეებს შორის:

დაახლ. 1.5 დან 4 საათამდე ამინდის მიხედვით

დაიცავით

- წვიმისგან დაახლ. 6 საათი
- ფეხით სიარულისგან დაახლ. 1 დღე
- წყლის წნევისგან დაახლ. 7 დღე
- კაფელი, მეტლახი და კრამიტი დააგეთ 1 დღის შემდეგ

გამოყენების

ტემპერატურა: ფეხით სასიარულო ზედაპირზე -20C და +50C შორის სხვა შემთხვევაში -15C და +60C შორის

*\*\*) სასურველი ტემპერატურაა +20C და 60% ნესტი, უფრო მაღალი ტემპერატურის და ნესტის შემთხვევაში გამოიყენეთ სპეციალური დანართი ტროპიკული კლიმატებისთვის*

ტექნიკური შესაძლებლობები:

- შეწებების ძალა: დაახლ. 1.5 N/მმ² 28 დ-ზე
- ჭიმვაძი ძალა: 4.2 N/მმ² (ASTM D 412-98a)
- სიგრძეში მომატება: 115% (ASTM D 412-98a)
- ბზარების ამოვსება: 2.6 მმ (ASTM C 836:95)
- წყალგამტარიანობა: ნული 5 შკალის ჭავლზე (BS EN 12390)
- სიმტკიცე ცვეთაზე: 110 მგ (ASTM D 4060:01)
- Shore 'A': დაახლ. 85
- თავდაპირველი ზედაპირული შეწოვა: ნული (BS 1881 Part 208:96)
- ქლორის მიმართ სიმტკიცე: 85% (ASTM-C 1202.97)
- ორთქლის მიმართ სიმტკიცის კოეფ.: დაახლ. 1,000 μ
- Sd – შეფასება: დაახლ. 2 მ
- Sd – შეფასება, CO2: დაახლ. 200 მ
- აალების კატეგორია: B2 (DIN 4102 ნაწილი 1)

**გამოყენების პროცედურები:**

ზედაპირი უნდა იყოს მთელი, სუფთა და ფოროვანი. ასევე არ უნდა იყოს ის დასვრილი, ცხიმისანი, მტვრიანი, ორმოებით ან დიდი ბზარებით. AQUAFIN-2K/M ძირითადად გამოიყენება ბეტონის, დუღაბის, ასფალტის, პლასტერის, თაბაშირის, ქვის

ან აგურის გლუვ ზედაპირზე. ამ ნაწარმის გამოყენებამდე სამშენებლო ბლოკების და უხეში ბეტონის ფილების უსწორმასწორო ზედაპირი აუცილებლად უნდა მოპირკეთდეს ASOCRET-FS ან AQUAFIN-1K ცემენტის გამოყენებით. რბილი ცემენტისა და გიფსოკარდონის გამოიყენეთ ASO-Unigrund-GE ან ASO-Unigrund-K შეწებების გაუმჯობესების მიზნით. სამუშაო ზედაპირი მოამზადეთ სხვადასხვა საჭირო მეთოდებით, მათ შორის მოწმენდით, გახეხვით, მტვერსასრუტით, წყლის და ჰაერის ჭავლით ან სხვა მეთოდებით.

დეტალები:

- არსებული ბზარების ამოვსება შესაძლებელია AQUAFIN-2K/M ნაწარმით, პირველ შრეზე ASO-Joint-Tape-2000 ის გამოყენების შემდეგ
- მოძრავი ბზარების და სამშენებლო სახსრებისთვის გამოიყენეთ ASO-Joint-Tape-2000-S

შერევა:

ჩაასხით სრულად გამოსაყენებელი UNIFLEX-M-ის 2/3 სუფთა კონტეინერში და დაუმატეთ AQUAFIN ის ფხვიერი კომპონენტი, რასაც მოურევთ სანამ არ მიიღებთ ერთიან მასას. მორევას სჭირდება დაახლოებით 2-3 წუთი. ამის შემდეგ დამატებით დარჩენილი 1/3 UNIFLEX-M და ისევ მოურიეთ სანამ არ მიიღებთ ერთიან მასას.

**შენიშვნა:** რაოდენობით მიხედვით, ნებადართულია საერთო მასის მაქს. 1.5% წყლის (0.5 ლ / 35 კგ.-ზე) დამატება სასურველი კონსისტენციის მისაღებად

გამოყენების მეთოდები:

აუცილებელია, რომ ამ ნაწარმის გამოყენების წინ, ზედაპირი (სუბსტრატი) იყოს აუცილებლად ტენიანი. AQUAFIN-2K/M შეგიძლიათ წაუსვათ ფუნჯით, შპატელით ან სპრეის აპარატით. სრული შედეგისთვის უნდა გამოიყენოთ AQUAFIN-2K/M - ის მინიმუმ 2 შრე. შრეების სისქე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ წყალს ან ნესტს უნდა გაუძლოს ზედაპირმა.

მეორე შრის წასმა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ რაც დარწმუნდებით რომ პირველი შრის ზედაპირი არ დაიზანდება წასმის პროცესში (+20C ზე აცადეთ მინიმუმ 4 საათი). რათა დაიზღვიოთ თავი ახალი ბზარებისგან, არ შეიძლება თითო შრისთვის 2კგ/მ² (=1მმ სისქე მშრალზე) ზე მეტი სისქის მიცემა. AQUAFIN-2K/M წყალგაუმტარობის უზრუნველსაყოფად ასევე შეიძლება ბოლო შრეში ASO-Systemvlies-02 ნაწარმის გარევა. AQUAFIN-2K/M შეიძლება გამოიყენოთ სპრეის აპარატით HighPump M8. ფენის სისქე აუცილებლად უნდა იყოს თანაბარი ~~მთელ საერთო ზედაპირზე.~~

**ხელსაწყოების გაწმენდა და მოვლა:**

სველ მდგომარეობაში გაწმინდეთ წყლით.  
AQUAFIN-cleanser გამოიყენეთ მიმხმარი მასალის  
მოსაშორებლად.

**შეფუთვა და მომარაგება:**

შეფუთვა: AQUAFIN-2K/M იყიდება 35 კგ-იან (25 კგ ფხვნილი/ 10კგ  
სითხე), 21 კგ-იან (15 კგ ფხვნილი/ 6 კგ სითხე) და 7 კგ-იან (5 კგ  
ფხვნილი/ 2კგ სითხე) შეფუთვებში.  
ფხვნილი ინახება ტომარაში, ხოლო სითხე კი ავზში.

**შენახვის ვადები:**

მშრალ, ყინვისგან დაცულ ადგილზე:  
ფხვიერი კომპონენტი : დაახლ. 12 თვე  
თხევადი კომპონენტი: დაახლ. 12 თვე  
შეინახეთ გაუხსნელ, ორიგინალ შეფუთვაში.  
გახსნილი ტომარა გამოიყენეთ სწრაფად.

**გამოყენების ადგილები / ნაწარმის ხარჯი / მშრალი შრის სისქე / დადებითი წყალგაუმტარობა:**

გამოყენების ადგილი	წყლის რაოდენობა	გამოყენების რაოდენობა (კგ/მ <sup>2</sup> -ზე)	მინ. სისქე გამშრალზე (მმ)**
სახურავი, დაუწყვილებელი	1 მ-ს ქვემოთ	2.0 – 2.25 2.5 – 3.0 *)	1.0 1.3
სახურავი, შედგენილი წყალგაუმტარობა	1 მ-ს ქვემოთ	2.5 – 3.0 3.0 – 4.0 *)	1.3 1.5
აივნები/ტერასები	უკრამიტო კრამიტით	3.0 – 4.0 4.0	1.5 2.0
მოედნის გადახურვა		3.0 – 4.0 *)	1.5
საცურაო აუზები	პატარა და საშუალო ოლიმპიური; მეტლახის გარეშე, ოლიმპიური მეტლახით ოლიმპიური, მეტლახით წებოვანი UNIFIX-2K/6	3.0 3.0 – 4.0 4.0 – 4.5 3.0	1.5 1.5 2.0 1.5
შადრევნები	1 მეტრამდე 1.5 მეტრამდე	2.0 – 2.5 <sup>3/4</sup> 3.0 – 3.5	1.0 1.5
წყლის რეზერვუარები	არა სასმელი წყლის ავზი სასმელი წყლის ავზი	3.0 – 4.5 4.0 – 4.5	1.5 2.0
მიწიდან	2 მ-ს ქვემოთ 2 – 4 მ-ს ქვემოთ 4 – 7 მ-ს ქვემოთ 7 – 10 მ-ს ქვემოთ 10 მ-ს ზემოთ	2.0 – 2.5 3.0 3.5 4.0 4.5	1.0 1.5 1.8 2.0 2.3

უარყოფითი წყალგაუმტარობა მიწის ქვემოთ და მუდმივი, პირდაპირი კონტაქტი წყალთან (AQUAFIN-1K სუბსტრატზე)

წამოყენების ადგილი	წყლის რაოდენობა	გამოყენების რეკომენდირებული რაოდენობა (კგ/მ <sup>2</sup> )	მინ. სისქე გამშრალზე (მმ)**
მიწიდან	2 მ-ს ქვემოთ	2.0 – 2.5	1.0
	2 – 4 მ-ს ქვემოთ	3.0	1.5
	4 – 7 მ-ს ქვემოთ	3.5	1.8
	7 – 10 მ-ს ქვემოთ	4.0	2.0
	10 მ-ს ზემოთ	4.5	2.3

უსწორმასწორო ზედაპირმა შეიძლება მოითხოვოს მეტი მასალა, რათა მიიღოს წასმული შრის შესაბამისი სისქე.

მნიშვნელოვანი რჩევა:

- გაშრობის პროცესისას, ცხელ და ნესტიან გარემოში, წასმული მასალა შეიძლება იყოს წებვადი. ამ შემთხვევაში 24 საათის შემდეგ სასურველია ზედაპირის წყლით დასველება, რათა უზრუნველყოთ მისი სრული ჰიდრაცია.
- უარყოფითი წყლის წნევა იწვევს დელამინაციას ძლიერ ყინვის დროს
- AQUAFIN-2K/M ს ზემოთ შეგიძლიათ გადააკრათ პლასტერ ან შეღებოთ ზედაპირი უსილიკონო საღებავით
- ძლიერ ნესტიან და უჰაერო ადგილებს (მაგ. წყლის ავზებს) მიეცით მეტი დრო გასაშრობად, სანამ გამოიყენებთ
- შეძლებისდაგვარად აერიდეთ ამ მასალის მზეში წასმას
- ზედაპირი დაანოტივით წინასწარ სანამ გამოიყენებთ AQUAFIN-2K/M ს
- AQUAFIN-2K/M მთარიდეთ იმ ადგილებს, სადაც არ აპირებთ მის გამოყენებას
- მთარიდეთ ეს ნაწარმი პირდაპირ კონტაქტს მეტალებთან, როგორცაა სპილენძი, თუთია და ალუმინი, მათ შორის (მეტალს და AQUAFIN-2K/M ს) დამატებითი შრის საშუალებით. ეს დახურულფორიანი შრე შეგიძლიათ დაამზადოთ INDUFLOOR-IB1225-ს ორი გამოყენებით. პირველი შრე წაუსვით ფრთხილად, ფუნჯის გამოყენებით. 3 დან 6 საათის შემდეგ, როცა პირველი შრე გაშრება, წაუსვით INDUFLOOR-IB1225-ს მეორე შრე და მოაყარეთ დაფქვილი კვარცი (მარცვლის ზომა 0.2 მმ-დან 0.7 მმ მდე). დაგჭირდებათ INDUFLOOR-IB1225 - ის დაახლოებით 800-100 გ/მ<sup>2</sup>-ზე. PVC ს და უჟანგავი ფოლადის ზედაპირის დასაფარად, გაფხიკეთ იგი და გააპრიალეთ იზოპროპანოლის ან აცეტონის გამოყენებით ამის შემდეგ გამოიყენეთ AQUAFIN-2K/M და დაალბეთ ASO-Joint-sleeve ან ADF-pipe seal ის გამოყენებით.
- რათა გაახანგრძლივოთ მასალის გასქელების/გამოყენების დრო, მასალა შეინახეთ გრილ გარემოში +5C ს ზევით და გამოიყენეთ ტომრის გახსნიდან სწრაფად თუ ტემპერატურა მაღალია. თუ წყლის დამატება შესაძლებელი ან საჭიროა, გასქელების დროს გაახანგრძლივება შესაძლებელია ცივი წყლის დამატებითაც
- AQUAFIN-2K/M - ის ფხვიერი მასალა არის „გამაღიზიანებელი საშუალების“ კატეგორიაში GefStoffV - ის შკალის მიხედვით.
- TRGS 613 - ის მიხედვით შეიცავს ქრომის მინიმალურ დონეს

გთხოვთ დაიცვათ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნორმები!